2010 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიში

კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის 2006 წლის ოქტომბრიდან აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით და ფედერაცია გადავარჩინოთ ბავშვებთან (Save the Children) პარტნიორობით ახორციელებს პროექტს:

თანაბარი პირობების შექმნა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვის.

პროექტის მიზანია გააუმჯობესოს შესაბამისი პირობები საქართველოს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სრული ჩართულობისა და მათთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად. ამასთანავე პროექტის ამოცანაა ხელი შეუწყოს კოორდინაციას მთავრობას, საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის, რათა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა დასახმარებლად ეფექტური სახელმწიფო პოლიტიკა და სტრატეგია შეიქმნას.

პროექტის ფარგლებში მოხდა:

- კოალიციის ინსტიტუციური გაძლიერება;
- შეიქმნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის კონცეფცია, რომელიც 2008 წლის 2 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა ერთხმად მიიღო;
- დაიწერა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის სამწლიანი სამთავრობო სამოქმედო გეგმა;
- შეიქმნა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შევიდნენ მინისტრთა კაბინეტის, საქართველოს პარლამენტის და უფლებათადამცველი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები;
- პროექტის ინიციატივით ყოველწლიურად, 14 ივნისს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის დღეს საქართველოში, იმართება შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებთან დაკავშირებული გამოფენა-ფორუმი, რომლის დროსაც იმართება არასამთავრობო ორგანიზაციების პრეზენტაციები, სოციალური საწარმოების გამოფენა-ბაზრობები, თემატური დისკუსიები და დაჯილდოების ცერემონიალი;

- 3 დეკემბერს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღეს მუდმივად იმართება კვირეულები და სხვადასხვა სახის ღონისძიებები, რომელთა მიზანი სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების დაახლოება, მათ შორის კორდინაციის გაძლეირება და საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაა.
- საქართველოს სამ რეგიონში (კახეთი, იმერეთი და აჭარა) გამოვლინდნენ შეზღუდული შესაზლებლობის მქონე ახალგაზრდა ლიდერები, ჩამოყალიბდა საინიციატივო ჯგუფები;
- გაიმართა არაერთი სემინარი და ტრენინგი არქიტექტორებთან, სტუდენტებთან, პედაგოგებთან, ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურთან, ჟურნალისტებთან, პატრულის თანამშრომლებთან და სხვა. აღნიშნულ ტრენინგებსა და სემინარებს 2000-ზე მეტი მონაწილე დაესწრო.
- მოხდა 6 სოციალური სარეკლამო რგოლის და დოკუმენტური ფილმის "როგორ ინგრევა კედელის" გადაღება, რომელთა ნახვა სემინარებზე, კინო-ჩვენებებზე, ფესტივალებსა და ტელევიზიის საშუალებით ასი ათასზე მეტმა ადამიანმა შესძლო;
- გამოიცა სხვადასხვა სახის პუბლიკაციები და ბეჭდვითი მასალები;

ეს ყველაფერი კიდევ არ არის!

- ყოველწლურად 14 ივნისს, საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის დღეს, თბილისში იმართება გამოფენა-ფორუმი.
- გამოფენა-ფორუმში მონაწილეობენ სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები.
- 2009 წელს 41-მა ორგანიზაციამ მიიღო მონაწილეობა, 2010 წელს - 43 ორგანიზაცია იყო წარმოდგენილი.
- გამოფენა-ფორუმი ყოველწლიურად 500-ზე მეტ სტუმარს მასპინძლობს.
- გამოფენა-ფორუმის დროს იმართება შეზღუდული შესაძლებლობებთან დაკავშირებული თემატური დისკუსიები, პრეზნტაციები. სხვადასხვა ორგანიზაციები და სოციალური საწარმოები წარმოადგენენ საკუთარ პროდუქტებს. ეწყობა გამოფენა-გაყიდვა.
- დასკვნით ნაწილში იმართება დაჯილდოების ცერემონიალი ინვალიდობის თემაზე შექმნილ საუკეთესო ფოტოსურათს, სოციალური ვიდეო რგოლის, დოკუმენტური ფილმის, ტელე- სიუჟეტის, სტატიის, პროექტების და წლის უფლებების დამცველის ნომინაციებში.

- 2010 წელი. წითელი ხალიჩა გამარჯვებულებისთვის
- გამარჯვებული დოკუმენტური ფილმის "როგორ ინგრევა კედელის" ავტორი გიორგი გვიშიანი
- 2010 წლის ინტერესთა დამცველი - ირინე ინასარიძე
- 2009 წლის ინტერესთა დამცველს - გიორგი ძნელაძეს, პრიზი
  აშშ-ს ელჩმა ჯონ ტეფტმა გადასცა
- რუსთავი 2-ის ჟურნალისტმა, მაია ლომიძემ საუკეთესო ტელე-სიუჟეტის ნომინაციაში გაიმარჯვა
- კომპანია "ჯეოსელი" გამოფენა-ფორუმის მუდმივი პარტნიორია
- 2010 წელს პარტნიორთა რიცხვს საქართველოს ზარაფხანაც შეემატა